ოქმი:**ო63. 6325345001**
თარიღი:**11/12/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ. სამტრედია 4 დეკემბერი, 2025 წელი.

2025 წლის 4 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: **ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, მიხეილ კვანტალიანი, ხვიჩა ფანცულაია, გიორგი გაგუა, ტარიელ დვალიშვილი, ლაშა მუქერია, მერაბ თევზაძე, მაია ტალაბაძე, პაატა კოხრეიძე, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, როლანდ ეცადეიშვილი, გივი მურღულაია, მარიამ ცომაია, კირილე ბერაძე, ანა გეგეშიძე, ემზარ კრავეიშვილი, კობა ჟორჟოლიანი, ვარგისო ჩაჩუა, ქიშვარდ ღაღანიძე, შალვა მეფარიშვილი, ხვიჩა დარსაველიძე.**

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' ხელმძღვანელი, ივანე კილტავა.

2. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე.

3. შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს წარმომადგენელი, ალექსანდრე სტურუა.

4. ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს წარმომადგენელი, ეთერ ბლუაშვილი.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე.

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის,

არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი, გიორგი ხაჟალია.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის სპეციალისტი, გიორგი მელქაძე.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

10. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

11. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

12. შპს ,,სამტრედიის მაცნე''-ს ჟურნალისტი, თეა ბაბუნაშვილი.

13. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

14. ტელეკომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 4 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2025 წლის 4 დეკემბრის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2025 წლის 4 დეკემბრის** სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ- 63.632435923 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

3. ,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2025 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435925 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2025 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

5. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დ**ახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N გ-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“,** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № გ-63. 63243599 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის N გ-63.632531413 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“, 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № გ-63.63243597 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის N გ- 63. 63253149 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

9. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.63243595 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის N გ - 63.632531414 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026-2029 წლებში განსახორციელებელი 15 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

11. ,,2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №გ-63.63251058 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

12. მდგრადი განვითარების მიზნების სამტრედიის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

13. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე/

14. სხვადასხვა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 4 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური **სპორტული სკოლის**'' 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ- 63.632435923 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 ნოემბრის N62-6225332110 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური **სპორტული სკოლის''** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, არაფინანსური აქტივების მუხლში თანხა მცირდება (ძირითადი აქტივები) 0.5 ათ.ლარით; შრომის ანაზღაურების მუხლში 2.7 ათ.ლარით, შესაბამისად საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 3.2 ათ.ლარით. ცვლილება გამოწვეულია ფრენბურთის ტურნირის ხარჯიდან გამომდინარე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ- 63.632435923 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს** 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 ნოემბრის N62-6225332111 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი''-ს** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, საქონელი და მომსახურეობის გეგმა მცირდება 3.4 ათ.ლარით და შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის გეგმა იზრდება 0.4 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის

გეგმა 3.0 ათ.ლარით. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლილე“-სათვის ფონოგრამის ჩასაწერად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების **„შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს** მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2025 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435925 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 ნოემბრის N62-6225332112 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, შპს „სპორტული კომპლექსი -სამტრედია“-ს 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, სხვა ხარჯების მუხლში თანხა მცირდება 2.8 ათ.ლარით. შესაბამისად, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 2.8 ათ.ლარით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2025 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435925 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **„საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის** ცენტრი''-ს 2025 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის*** 2025 წლის 1 დეკემბრის N 62-622533579 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის'' 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, მიზნობრივი ტრანსფერის არაფინანსური აქტივების გეგმა მცირდება 0.9 ათ.ლარით, სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 1.3 ათ.ლარით, საქონელი და მომსახურების გეგმა 5.9 ათ.ლარით და შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება 8.1 ათ.ლარით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2025 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების** გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N გ-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 ნოემბრის N 62-6225332109 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“ დანართ N1-ში შესატან ცვლილებებს.

სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯები იზრდება - 200 000 ლარით; კერძოდ:

იზრდება:

მუხლი 14. ,,ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში'' - 24 000 ლარით; (გაზრდილია ერთჯერად დახმარებებზე განცხადების რაოდენობა);

მუხლი 3. ,,მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება'' - 165 000 ლარით; (გაზრდილია ოპერაციების, გამოკვლევების და მკურნალობის დაფინანსებაზე შემოსული განცხადებების რაოდენობა);

მუხლი 13. ,,შშმ პირების ფინანსური დახმარება'' (გაზრდილია შშმ პირების ფინანსურ დახმარებაზე შემოსული განცხადებების რაოდენობა) - 11 000 ლარი;

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური** დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N გ-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“,** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', საქართველოს მთავრობის 2025 წლის 14 ნოემბრის №1881 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში, მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები შემცირდა 98.6 ათასი ლარით და 7834.3 ათასი ლარით განესაზღვრა. მათ შორის, პროექტის განხორციელებისთვის, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა შემცირდა 100.3 ათასი ლარით და შეადგენს 7437.1 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება გაიზარდა 1.8 ათასი ლარით და შეადგენს 397.2 ათას ლარს. აქედან გამომდინარე უნდა შემცირდეს (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 22.5 ათასი ლარით, ხოლო თანადაფინანსება 1.1 ათასი ლარით, შემცირდეს (კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 4.5 ათასი ლარით და ადგილობრივი ბიუჯეტით - 0.4 ათასი ლარით და შემცირდეს (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების

ზრდის გეგმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 73.3 ათასი ლარით, ხოლო თანადაფინანსება 3.3 ათ. ლარი მოწესრიგდეს ამავე განკარგულებით დარჩენილი თანადაფინანსების ეკონომიისა და არსებული გეგმის ფარგლებში (დარჩენილი ეკონომია მუხლობრივი ცვლილებით - 1.5 ათასი ლარი, ხოლო არსებული გეგმა - 1.8 ათასი ლარი).

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 27 აგვისტოს №1424 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 17 ნოემბრის №1899 განკარგულების თანახმად, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის (კერძო სახლების/დამხმარე ნაგებობების ნაწილობრივი დაზიანებული სახურავები) კომპენსაციის გაცემის მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობამ შეადგინა 24.3 ათასი ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს (06 03 კოდი) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების სხვა ხარჯების გეგმა - 24.3 ათასი ლარით.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N302 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლების შენობასა და სკოლის გარე ტერიტორიაზე შესასრულებელი მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/ აღჭურვის) მიზნით, გამოეყო თანხა 155.7 ათასი ლარი. შესაბამისად, გაიზარდოს (04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 155.7 ათასი ლარით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 24 ნოემბრის N 04-03/83077 წერილით ეცნობა, საგადასახადო შემოსავლების გეგმის (ქონების გადასახადი) 3 800.0 ათასი ლარით განსაზღვრის შესახებ და გაზრდილი ქონების გადასახადის მიხედვით არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების გეგმის დაკორექტირების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების გადასახადი გაიზარდოს 700.0 ათასი ლარით და შემცირდეს არაფინანსური აქტივების კლების გეგმა - 278.3 ათასი ლარით.

გარდა ამისა, სხვა შემოსავლების გეგმის ნაწილში პროცენტის გეგმა შემცირდეს - 9.0 ათასი ლარით და გაიზარდოს რენტა - 18.0 ათასი ლარით; სახელმწიფო მოსაკრებელი - 11.6 ათასი ლარით; შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 4.7 ათასი ლარით; ჯარიმები, სანქციები და საურავები - 60.3 ათასი ლარით; ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე - 7.7 ათასი ლარით.

ზემოთ მოცემული ცვლილებების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლები ჯამში გაიზარდოს - 515.0 ათასი ლარით. შესაბამისად, გაიზარდოს და მოწესრიგდეს გადასახდელები - 515.0 ათასი ლარით, კერძოდ:

- (06 02 04 კოდი) სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 200.0 ათასი ლარით;
- (03 03 კოდი) დასუფთავების არაფინანსური აქტივების გეგმა - 185.0 ათასი ლარით;
- (02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურების გეგმა - 15.0 ათასი ლარით.
- (02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 101.1 ათასი ლარით („მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №1207 განკარგულებით გამოყოფილი თანხის თანადაფინანსებისთვის);
- (02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა - 6.0 ათასი ლარით („მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №1207 განკარგულებით გამოყოფილი თანხის თანადაფინანსებისთვის);
- (02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 7.9 ათასი ლარით („მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №1207 განკარგულებით გამოყოფილი თანხის თანადაფინანსებისთვის);

მუხლობრივი ცვლილება:

- (05 01 02 02 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 0.5 ათასი ლარით; და შესაბამისად გაიზარდოს სუბსიდიის გეგმა.
- (04 03 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდიის გეგმა შემცირდეს - 3.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.
- შემცირდეს (02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა 81.9 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების გეგმა - 47.7 ათასი ლარით და გაიზარდოს (02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა - 129.6 ათასი ლარით (N186 განკარგულება - სტიქია);
- შემცირდეს (02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა 12.4 ათასი ლარით და გაიზარდოს (02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა - 9.1 ათასი ლარით, ხოლო (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა - 3.3 ათასი ლარით;
- (06 01 01 კოდი) ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 0.9 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა.
- (02 04 კოდი) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 21.7 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.
- (01 01 02 კოდი) სამტრედიის მერიის სოციალური უზრუნველყოფის გეგმა შემცირდეს 2.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“,** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ **ტოლების სამუსიკო** სკოლის“ 2025 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № გ-63. 63243599 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის N გ-63.632531413 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. განხორციელდა აღნიშნულ განკარგულების პროექტში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, სადაც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის Nგ- 63. 632531413 განკარგულებაში დაემატა დანართი N3 და N4.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № გ-63. 63243599 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის N გ-63.632531413 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გომის თემის სამუსიკო** სკოლის“ , 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № გ-63.63243597 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის N გ- 63. 63253149 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. განხორციელდა აღნიშნულ განკარგულების პროექტში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, სადაც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის Nგ-63. 63253149 განკარგულებაში დაემატა დანართი N4.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ , 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № გ-63.63243597 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის N გ- 63. 63253149 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **N2 სამუსიკო სკოლის“** 2025 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.63243595 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის N გ - 63.632531414 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. განხორციელდა აღნიშნულ განკარგულების პროექტში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, სადაც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის N გ- 63.632531414 განკარგულებაში დაემატოს დანართი N3, N4 და N5.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.63243595 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ნოემბრის N გ - 63.632531414 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების

შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026-2029 წლებში განსახორციელებელი **15 ინფრასტრუქტურული** პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 26 ნოემბრის N 62-6225330117 წერილობითი მომართვა.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026-2029 წლებში განსახორციელებელი 15 ინფრასტრუქტურული პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026-2029 წლებში განსახორციელებელი 15 ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ

N	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)			პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა
		სულ	(რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)	მ.შ. თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2		3	4	5	6
1	რობაქიძის ქუჩის მე-2 შესახვევის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა	145,605.00	138,324	7,281	იანვარი	დეკემბერი	
2	ამირან კალაძის ქუჩის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა	96,811.00	91,970	4,841	იანვარი	დეკემბერი	
3	სოფ. მელაურში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	29,096.00	27,641	1,455	იანვარი	დეკემბერი	
4	იანეთის მე-20 ქუჩის შესახვევის მოასფალტება	71,186.00	67,626	3,560	იანვარი	აგვისტო	
5	ჭანტურიას IV ჩიხში ქუჩის ორივე მხარეს	**36,742.00**	**34.905**	**1.837**	იანვარი	აგვისტო	

	ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა						
6	ქ. სამტრედიაში წერეთლის N1 ბინის ფასადის რეაბილიტაცია	288,778.00	274,339	14,439	იანვარი	აგვისტო	
7	ქ. სამტრედიაში, ახალგაზრდობის ქუჩაზე გაბიონის კედლის მოწყობა	41,586.00	39,506	2,080	იანვარი	აგვისტო	
8	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში, მორეშავას უბანში გზის რეაბილიტაცია	396,824.00	376,982	19,842	იანვარი	აგვისტო	
9	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვაყუდეში მთავარი გზიდან საწვიმის უბნისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	59,439.00	56,467	2,972	იანვარი	დეკემბერი	
10	სოფ. ქვაყუდეში ბერძნისწყაროს დასახლებაში ტორღუას უბანში გზის რეაბილიტაცია	397,955.00	378,057	19,898	იანვარი	აგვისტო	
11	სოფ. გომნატეხებში ჯინჭარაძეების უბანში გაბიონის კედლის მოწყობა	36,390.00	34,570	1,820	იანვარი	მაისი	
12	სოფ. გომნატეხებში (გორისძირში) გაბიონის კედლის მოწყობა	57,153.00	54,295	2,858	იანვარი	აგვისტო	
13	სოფ. დაბლა გომში სამწვადის უბანში ბეტონის კედლის მოწყობა	52,250.00	49,637	2,613	იანვარი	აგვისტო	
14	სოფ. დაბლა გომში საღვრიალეების უბანში ბეტონის კედლის მოწყობა	69,530.00	66,053	3,477	იანვარი	აგვისტო	

15	მელაურის ადმ ერთეულის სოფ. მიწაბოგირაში გრუნტის არხის მოწყობა	21,780.00	20,691	1,089	იანვარი	მაისი	

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026-2029 წლებში განსახორციელებელი 15 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ''.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში** დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №g-63.63251058 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 ნოემბრის N 62-622533267 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, 2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, **სოფლის მხარდაჭერის** პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების საკითხს. ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 26 ნოემბრის №01-622533069 მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში, დასახლების საერთო კრებებზე შერჩეულ პრიორიტეტებზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით განაწილებული თანხებიდან, სატენდერო პროცედურების შედეგად, მთელ რიგ სამუშაოებზე დარჩა ეკონომიები, რომელთა გამოყენებაც მიზანშეწონილია მოხდეს ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში მოსახლეობის მიერ დასახლებათა საერთო კრების ოქმებში დაფიქსირებულ პრიორიტეტებზე. ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის 4 სოფელში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, დამატებით გადმოგვეგზავნა მერის წერილობითი მომართვა. კერძოდ, 1. სოფელ ჩხენიშში - ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია 26 ლარი და გარე განათების მოწყობის სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია 52 ლარი ემატება სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის პროექტის ღირებულებას; 2. სოფელ ნაბაკევში - სასაფლაოს შემოღობვის პროექტის ეკონომია 2072 ლარი მიემართება სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის პროექტისკენ; 3. სოფელ ნინუაკუთხეში - სასაფლაოს შემოღობვის პროექტის ეკონომია 2072 ლარი მიემართება სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის პროექტისკენ; 4. სოფელ კვირიკეში - სასაფლაოს ღობის რეაბილიტაციის პროექტის ეკონომია 620 ლარი მიემართება სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის პროექტისკენ.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №g-63.63251058 განკარგულებაში.

- 2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები (დანართი №1) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები

№	სოფელი	პროექტის დასახელება	საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი)	თანადაფინანსება (ლარი)	პროექტის ღირებულება (ლარი)	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარი)
1	სოფელი ბაში	ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	11 400	0	11 122	278
2	სოფელი ბაში	სკვერის შემოღობვა	5 600	0	5 463	137
3	სოფელი ბაში	საბავშვო ბაღის ოთახების რეაბილიტაცია	3 000	0	2 927	73
4	სოფელი იანეთი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
5	სოფელი იანეთი	სანიაღვრე არხისთვის 18 მეტრი პოლიეთილენის 500 მმ დიამეტრის გოფრირებული მილის შეძენა	1 500	0	1 500	0
6	სოფელი იანეთი	გარე განათების მოწყობა	6 500	0	6 341	159
7	სოფელი დიდი ჯიხაიში	რეკრეაციული და სპორტული სივრცის შემოღობვა	20 000	0	19 512	488
8	სოფელი ჯიქთუბანი	გზების მოხრეშვა	9 300	0	9 073	227
9	სოფელი ჯიქთუბანი	მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია	2 000	0	1 951	49
10	სოფელი ჯიქთუბანი	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	700	0	683	17
11	სოფელი პატარა ეწერი	არსებული სკვერის კეთილმოწყობა	10 000	0	9 756	244
12	სოფელი პატარა ეწერი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	2 000	0	1 951	49
13	სოფელი კეჭინარი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
14	სოფელი ოჭოფა	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	1 500	0	1 463	37
15	სოფელი ოჭოფა	სკვერის კეთილმოწყობა	8 500	0	8 293	207
16	სოფელი გვიმრალა	ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	2 500	0	2 439	61
17	სოფელი გვიმრალა	არსებული სკვერის რეაბილიტაცია	8 900	0	8 683	217
18	სოფელი გვიმრალა	ბაღთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	600	0	585	15
19	სოფელი ახალსოფელი	სპორტული ტრენაჟორებისა და განათების მოწყობა	13 000	0	12 683	317
20	სოფელი ახალსოფელი	ე.წ. ტუტამიწის უბანში ბოგირის მოწყობა	3 000	0	2 927	73

21	სოფელი მელაური	საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა	12 000	0	11 707	293
22	სოფელი მიწაბოგირა	სკვერის მოწყობა	9 000	0	8 780	220
23	სოფელი მიწაბოგირა	ორი არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია	3 000	0	2 927	73
24	სოფელი მიწაბოგირა	არსებული სტადიონის რეაბილიტაცია	4 000	0	3 902	98
25	სოფელი ხიბლარი	სანიაღვრე არხის გაჭრა და მილ-ბოგირის მოწყობა	5 000	0	4 878	122
26	სოფელი ხიბლარი	სკვერების კეთილმოწყობა	11 000	0	10 732	268
27	დაბა კულაში	საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა	5 000	0	5 000	0
28	დაბა კულაში	ამბულატორიის შენობის კეთილმოწყობა	8 000	0	7 804	196
29	დაბა კულაში	მშვიდობისა და ბაგაურის ქუჩებზე ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია	7 000	0	6 830	170
30	სოფელი ღანირი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	15 000	0	14 634	366
31	სოფელი ღანირი	გარე განათების მოწყობა	5 000	0	4 878	122
32	სოფელი ჭაგანი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	8 500	0	8 292	208
33	სოფელი ჭაგანი	სკვერის კეთილმოწყობა	7 500	0	7 317	183
34	სოფელი ჩხენიში	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	6 478	0	6322	156
35	სოფელი ჩხენიში	ნაპირსამაგრის მოწყობა	5 974	0	5828	146
36	სოფელი ჩხენიში	გარე განათების მოწყობა	3 548	0	3460	88
37	სოფელი ნაბაკევი	ე.წ. ჯვარცმის მინდვრის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	7 928	0	7684	244
38	სოფელი ნაბაკევი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	8 072	0	7926	146
39	სოფელი ხუნჯულაური	სოფელ ხუნჯულაურის მე-3 ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
40	სოფელი ნინუაკუთხე	ე.წ. ჯვარცმის მინდვრის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	7 928	0	7684	244
41	სოფელი ნინუაკუთხე	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	8 072	0	7926	146
42	სოფელი კვირიკე	კვირიკეს სასაფლაოს არსებული ღობის რეაბილიტაცია	10 180	0	9916	264
43	სოფელი კვირიკე	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	1 820	0	1790	30
44	სოფელი დაბლა ეწერი	ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა	9 000	0	8 780	220
45	სოფელი დაბლა ეწერი	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
46	სოფელი ზედა ეწერი	სანიაღვრე არხის მოწყობა	3 600	0	3 512	88
47	სოფელი ზედა ეწერი	ხიდის მოაჯირის მოწყობა	2 300	0	2 244	56
48	სოფელი ზედა ეწერი	სასმელი წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	2 000	0	2 000	0
	სოფელი ზედა	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია				

49	ეწერი	(ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
50	სოფელი ზედა ეწერი	სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელ გზაზე ბეტონის არმირებული კიუვეტების მოწყობა	3 100	0	3 024	76
51	სოფელი კორმაღალი	გზის მოხრეშვა, ბეტონის კიუვეტებისა და ცხაურების მოწყობა	8 480	0	8 273	207
52	სოფელი კორმაღალი	გარე განათების მოწყობა	1 000	0	976	24
53	სოფელი კორმაღალი	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
54	სოფელი კორმაღალი	სასმელი წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	1 520	0	1 520	0
55	სოფელი დობირო	ბეტონის კიუვეტებისა და ცხაურების მოწყობა	8 100	0	7 902	198
56	სოფელი დობირო	გარე განათების მოწყობა	1 100	0	1 073	27
57	სოფელი დობირო	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	800	0	780	20
58	სოფელი დაბლა გომი	დაბლა გომში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	13 500	0	13 171	329
59	სოფელი დაბლა გომი	წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	2 500	0	2 500	0
60	სოფელი კეთილაური	მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა	9 000	0	8 780	220
61	სოფელი კეთილაური	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
62	სოფელი ცივწყალა	სასმელი წყლის მაგისტრალის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისთვის მასალების შეძენა	1 850	0	1 850	0
63	სოფელი ცივწყალა	გზის სავალი ნაწილის მოხრეშვა, არხებისა და ცხაურების მოწყობა	7 150	0	6 976	174
64	სოფელი ცივწყალა	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
65	სოფელი მთისძირი	საბავშვო სკვერის შემოღობვა	7 500	0	7 317	183
66	სოფელი მთისძირი	გარე განათების მოწყობა	1 000	0	976	24
67	სოფელი მთისძირი	დაბლა გომში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	7 500	0	7 317	183
68	სოფელი დაფნარი	სანიაღვრე არხის გაჭრა, ბეტონის კიუვეტების და მილ-ბოგირების მოწყობა	13 100	0	12 780	320
69	სოფელი დაფნარი	სასაფლაოს შესაღობად მასალების შეძენა	2 900	0	2 900	0
70	სოფელი გომმუხაყრუა	ბეტონის კიუვეტებისა და ცხაურების მოწყობა	10 300	0	10 049	251

71	სოფელი გომმუხაყრუა	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციისთვის მასალების შეძენა	1 700	0	1 700	0
72	სოფელი გომნატეხები	400 მმ დიამეტრის მილებით სანიაღვრე არხის მოწყობა	8 000	0	7 805	195
73	სოფელი გომნატეხები	სასმელი წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	550	0	550	0
74	სოფელი გომნატეხები	გარე განათების მოწყობა	1 000	0	976	24
75	სოფელი გომნატეხები	გზის მოხრეშვა	2 450	0	2 390	60
76	სოფელი პირველი ნიგორწღვა	გზის რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
77	სოფელი მეორე ნიგორწღვა	სკვერის მოწყობა	10 000	0	9 756	244
78	სოფელი ჭოგნარი	არსებული სკვერის რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
79	სოფელი საჯავახო	სკვერის მოწყობა	16 000	0	15 610	390
80	სოფელი ქვემო ნოღა	ბეტონის გზის დაგება	12 000	0	11 707	293
81	სოფელი ზემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	0	11 707	293
82	სოფელი ბუღნარა	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	6 000	0	5 854	146
83	სოფელი ბუღნარა	გარე განათების მოწყობა	6 000	0	5 854	146
84	სოფელი ქორეისუბანი	ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	0	9 756	244
85	სოფელი ვაზისუბანი	ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	16 000	0	15 610	390
86	სოფელი ტოლები	ბეტონის გზის დაგება სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე	10 000	0	9 756	244
87	სოფელი ზემო ტოლები	გარე განათების მოწყობა	10 000	0	9 756	244
88	სოფელი თხილაგანი	გზის რეაბილიტაცია	10 000	0	9 756	244
89	სოფელი წიაღუბანი	სასაფლაოს შემოღობვა	10 000	0	9 756	244
90	სოფელი მტერჩვეული	სასაფლაოს შემოღობვა	10 000	0	9 756	244
91	სოფელი ნაწილი ოფეთი	სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	10 000	0	9 756	244
92	სოფელი პატარა ოფეთი	გარე განათების მოწყობა	10 000	0	9 756	244
93	სოფელი დიდი ოფეთი	გარე განათების მოწყობა	10 000	0	9 756	244
94	სოფელი გორმაღალი	ქვაყუდის უბანში სკვერის შემოღობვა	8 000	0	7 805	195
95	სოფელი გორმაღალი	მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	8 000	0	7 805	195
96	სოფელი გამოჩინებული	სანიაღვრე არხების მოწყობა	10 000	0	9 756	244
			660 000	**0**	**644 373**	**15 627**

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №გ-63.63251058 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, **მდგრადი განვითარების მიზნების** სამტრედიის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 14 ნოემბრის N 62-622531882 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, მდგრადი განვითარების მიზნების სამტრედიის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ, 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის", რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას, შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

2016 წელს, საქართველომ, ერთ-ერთმა პირველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან, მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (High Level Political Forum-HLPF) წარადგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR) 3 ამსახველი ანგარიში. მას მოჰყვა მეორე და მესამე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიშები 2020 წელს და 2024 წელს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანებით შექმნილი მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე წარდგენილ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა, რომელიც ერთხმად იყო მოწონებული საბჭოს წევრების მიერ.

გაეროს გენერალური ასამბლეის A/RES/70/1 რეზოლუციით მიღებული 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებაში თანაბრად მნიშვნელოვანია ხელისუფლების ყველა დონის ჩართულობა. მდგრადი განვითარების ზოგიერთი მიზნის მიღწევა და რიგი ამოცანების შესრულება კი ექსკლუზიურად მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება.

ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ მდგრადი განვითარების 8 მიზანი და 13 ამოცანა განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად.

წარმოდგენილი მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტის პროექტი სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. მდგრადი განვითარების მიზნების კომპლექსურობის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებს აქტივობებს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად. ასევე, მუნიციპალიტეტის მერია მჭიდროდ ითანამშრომლებს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, დონორ ორგანიზაციებთან, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარესთან, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად საჭირო იმ აქტივობების განხორციელების ხელშესაწყობად, რომლებიც არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მდგრადი განვითარების მიზნები და მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანები ასევე, ამოცანის შესრულების 17 ინდიკატორი, საბაზისო მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის) მოცემულია დანართი №2-ში. აღნიშნული ინდიკატორები საშუალებას მისცემს ადგილობრივ თვითმმართველობას გაზომოს პროგრესი მიზნების მიღწევის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის მიერ, მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ურთიერთკავშირი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და მიზნებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნების სამტრედიის მუნიციპალური დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, დამტკიცდეს თანდართული „მდგრადი განვითარების მიზნების სამტრედიის მუნიციპალური დოკუმენტი“ (დანართი №1, დანართი №2).

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,მდგრადი განვითარების მიზნების სამტრედიის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის დებულების** დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 20 ნოემბრის N 62-6225324103 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 57- ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მერის პირველი მოადგილე/ მოადგილე (მოადგილეები) ფუნქციათა განაწილების შესაბამისად, ხელმძღვანელობს (ხელმძღვანელობენ) მერიის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ დარგს (დარგებს), ორგანიზებას უწევს (უწევენ) და აკონტროლებს (აკონტროლებენ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მერის დავალებების შესრულებას, მერიის დებულების შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს (გამოსცემენ) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის (მოადგილეების) უფლებამოსილებები განისაზღვრება მერიის დებულებით. ცვლილების შედეგად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განისაზღვრება, რომ მერის პირველი მოადგილე უხელმძღვანელებს ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სფეროს, ზედამხედველობის სფეროს და განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს, ხოლო მერის მოადგილე უხელმძღვანელებს ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სფეროსა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი